




IMATINIB MESILATE - GLIVEC®

რა არის GLIVEC-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
იმეტიინიბი	100 მგ ტაბლეტი: მრგვალი, ნარინჯისფერი 400 მგ ტაბლეტი: ოვალური, ნარინჯისფერი არსებობს სხვადასხვა ფორმის ჯენერიკები 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ 100 მგ-იანი ტაბლეტი და 400 მგ-იანი
ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ ერთხელ დღეში, ყოველდღე.

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების გარეშე.

საჭიროების შემთხვევაში, გახსენით დაახლოებით ერთ ჭიქა უგაზო წყალში ან ვაშლის წვენში (სხვა სითხე არ გამოიყენოთ), ურიეთ პერიოდულად. ნაზავი დაუყოვნებლივ უნდა დალიოთ. გადაავლეთ ჭიქას და დალიეთ გადავლებული წყალი.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას, რათა თავიდან აიცილოთ კუჭის პოტენციური ტკივილი.

მიღების გამოტოვების შემთხვევაში, მიღება შესაძლებელია 12 საათის განმავლობაში (თუ მიღების სქემა დღეში ერთი მიღებაა) ან 6 საათის განმავლობაში (თუ მიღების სქემა დღეში ორი მიღებაა). სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა და დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი ან ორი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვების დროს	  									
უნყვეტლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7	...	 დ28	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამარფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, შარდმჟავას დონეს და ღვიძლის ფუნქციას) და კლინიკურ მეთვალყურეობას (არტერიული წნევა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური



კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

GLIVEC®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცეპტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას ან გრეიფრუტის მოხმარებას GLIVEC®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, ღებინება, დიარეა, კუჭის ტკივილი სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლების დარღვევები: თრომბოციტების (თრომბოციტოპენია), ჰემოგლობინის (ანემია) და/ან ნეიტროფილების (ნეიტროპენია) შემცირება ზოგადი დარღვევები: კიდურების და/ან სახის შებერილობა, წყლის შეკავება, კიდურების შებერილობა (შეშუპება) ტკივილი: კრუნჩხვები, კუნთების და/ან სახსრების ტკივილი, თავის ტკივილი კანის დარღვევები: გამონაყარი, სინითლე, ქავილი, კანის სიმშრალე, მომატებული მგრძნობელობა მზის სხივებზე სისხლდენა, დაღლილობა.
ზოგ პაციენტს ესაჩიროება განსაკუთრებული ყურადღება	B ჰეპატიტის ვირუსის მქონე პაციენტები ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: > მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღვეის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. ინფექციის მიმანიშნებელი სიმპტომები > ტემპერატურა > 38.5°C > ხველა, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვის დროს, დიარეა სიცხესთან ერთად სისხლდენის მიმანიშნებელი სიმპტომები > სისხლი განავალში, ან ღებინების დროს > სისხლჩაქცევები (სილურჯეები), ცხვირიდან სისხლდენა ფილტვების არეში დარღვევები > გაძლიერებული მუდმივი ხველა ან სუნთქვის გაძნელება ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > თავის ტკივილები > სახსრების ტკივილი წყლის შეკავებაზე მიმანიშნებელი სიმპტომები > წონის სწრაფი და მოულოდნელი მატება
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
კანის მოვლა	ჰიგაიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს ან წყლის შეკავების შემთხვევაში.
წყლის შეკავება (ხელებისა და ფეხების შებერილობა)	მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელს ააწყვეთ ფეხები სიმაღლეზე.
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საინინაღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.



სახსრების ტკივილი	განახორციელებული ადაპტირებული ფიზიკური აქტივობა
სისხლდენა	მოერიდეთ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) მიღებას. აცნობეთ თქვენს ექიმს: > თუ იღებთ ანტიკოაგულანტებს ან თრომბოციტების ანტიაგრეგანტულ პრეპარატებს : საჭიროა მკაცრი მონიტორინგი > ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევის შემთხვევაში
დადლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
წყლის შეკავება	უპირატესობა მიანიჭეთ მარილის დაბალი შემცველობის დიეტას

